



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

საქართველოს კანონი “ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ”

2017 წლის 10 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიიღო და დაამტკიცა 2017 წლის 21 აპრილს. კანონის მიზანს წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერისა და სხვა სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და მათი საშუალებით ელექტრონული ბიზნესის განვითარებისა და სხვა მიმართულების ხელშეწყობა.



კანონის თანახმად, ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, გამოიყენონ მატერიალური დოკუმენტი ან/და პირადი ხელმოწერა, ელექტრონული დოკუმენტი ან/და ელექტრონული ხელმოწერა.

კანონპროექტის მიხედვით, მოქმედი კანონისგან განსხვავებით, დგინდება „განსახლებასთან“ დაკავშირებული ძირითადი დებულებები და იგი მოიცავს ნაკვეთის გამოთავისუფლების მიზნით როგორც მორიგებითი, ისე იძულებითი განსახლების ეტაპებს.

კანონი აწესრიგებს იურიდიული პირების სახელით კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების წესს, რომლის საშუალებით ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შესაძლებლობა მიეცემა დისტანციური ფორმით მომხმარებლის იდენტიფიცირების საფუძველზე გაუწიოს მომსახურება.

კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილებაა დროის კვალიფიციური აღნიშვნის სამართლებრივი რეგულირება, რაც საშუალებას იძლევა უტყუარად დამოწმდეს დოკუმენტის ან მასზე განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერის არსებობა დროის კონკრეტულ მომენტში.



შესაძლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შემავალ ცვლილებების პროექტს, რომელთა მიხედვით, სამოქალაქო კოდექსს ემატება ჯანმრთელობის დაზღვევის თავი.

ცვლილებების თანახმად, ჯანმრთელობის დაზღვევა ფარავს როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ასევე დაზიანებისა და სხვა სახის მომსახურების ხარჯებს. ასევე, განისაზღვრება და დაცულია მომხმარებლის უფლება ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციისას შეუზღუდავად ისარგებლოს კანონით განსაზღვრული შესაძლებლობებით.

საკანონმდებლო დონეზე, შესაძლოა, განმტკიცდეს მზღვეველის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენების შესაძლებლობა ჯანმრთელობის დაზღვევისას. ამასთან, ცვლილებების მიზანია მკაცრად განისაზღვროს ჯანმრთელობის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედების სფერო, რომელიც გამორიცხავს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან არასწორ და მანკიერ პრაქტიკას, ზიანის ანაზღაურებაზე უარისთვის გამოიყენონ კანონის ანალოგია ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით.

შესაძლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საგადასახადო კოდექსის შესაძლო ცვლილებებს, რომლის მიხედვით:

- საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლს ემატება მე-12 ნაწილი, რომლის თანახმად ზარალის გადატანის შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება შეეხება მხოლოდ იმ საგადასახადო ვალდებულებებს, რომლის ოდენობაზეც გავლენას ახდენს ზარალის გადატანა.
- მე-4 მუხლს ასევე ემატება მე-13 ნაწილი, რომლითაც დგინდება, რომ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა გაშვებულად არ ჩაითვლება, თუ საგადასახადო ორგანომ შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნა გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განათავსა ამ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.
- მე-8 მუხლის 29-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში ხორციელდება ცვლილება, რომლის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც მიჩნეულ უნდა იქნას უიმედო ვალის არსებობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტად.
- 82-ე მუხლს ემატება ახალი ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკუთრების აღიარების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2017 წლის 26 მაისს გამოქვეყნდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება (საქმეზე №:28/4023-13 (2013-09-03)) სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. მოსარჩელე ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფას, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მას უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების ვარაუდი.

პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მეწარმე სუბიექტის ანგარიშებზე ყადაღის დადებით, არათუ ხელი არ შეეწყობა გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მოვალის გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა იხმაროს მოპასუხის ქონების მოძიების მიზნებისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება იქნას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღა.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე მსჯელობისას სასამართლო ასევე აფასებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასა და დასაბუთებულობას, რაც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებიდან. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო ვალდებულია შეაფასოს როგორც სარჩელის საფუძვლიანობა, ასევე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული რისკები და ის სამართლებრივი შედეგები, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გაელენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუმი. ყველა უფლება დაცულია.